ცნობა

გიორგი ჯანჯღავა დაიბადა 1965 წელს ქალაქ თბილისში. 1988 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

1986-1987 წლებში იგი წარგზავნილი იყო სასწავლებლად ქ. კაიროს (ეგვიპტე) უნივერსიტეტში. 1988 წელს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი, ხოლო 1990-1992 წლებში ამავე კათედრის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1992 წლის აპრილიდან დეკემბრამდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოში სახელმწიფო მრჩევლად საგარეო ურთიერთობათა საკითხებში. 1992 წლის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის უფროსად, სადაც მუშაობდა 1994 წლის აპრილამდე.

1994-2000 წლებში როტაციის წესით მივლინებული იყო საქართველოს გენერალურ კონსულად თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ ტრაპიზონში. 2000-2001 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში საკონსულო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. შემდეგ, 2001-2004 წლებში იყო საქართველოს გენერალური კონსული თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ ტრაპიზონში.

2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში მეცნიერ თანამშრომლად, ექსპერტად.

სხვადასხვა დროს გაიარა სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და იემენის რესპუბლიკაში.

2006 წლიდან დღემდე არის ეგვიპტისა და სირიის არაბთა რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

არის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების, ახლო აღმოსავლეთის კვლევის ბრიტანული საზოგადოებისა და საერთაშორისო ორიენტალისტიკური ნუმიზმატიკური საზოგადოების წევრი, 2 წიგნისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ფლობს ინგლისურ, თურქულ, არაბულ, სპარსულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის
კადრების სამსახურის უფროსი ლელი ლაბაური

18.02.2009